ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო სხდომის

ო ქ მ ი N-03

26 . თებერვალი 2025წ.

დ. ლენტეხი

მიმდინარე წლის 26 თებერვალს დღის 12 სთ-ზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ლამზირა გუგავა- საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავ-რე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე ირაკლი ქურასბედიანი და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მთვარისა ლიპარტელიანი.

კომისიის სხდომას ესწრებოდა მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი. პირების 2025 წლის გეგმა-პროგრამების დამტკიცების შესახებ.

შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

მომხსენებელმა ლამზურა გუგავამ აღნიშნა, რომ მერიიდან შემოსულია12 (თორმეტი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გეგმა-პროგრამა.(მერის მომართვა 19/02/2025წ. N96-962505020). გეგმა -პროგრამებში ყველა დასაქმებულ პირზე უნდა იყოს ასახული საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე სახელფასო სარგოების 125 ლარიანი მატება და თანამდებობრივი სარგოს 10 %-იანი მატება.

კომისიის წევრები გაეცვნენ თითოეული ა.(ა). ი პირის გეგმა-პროგრამას. გაკეთდა შედარებები, შედარების შედეგად დაზუსტდა, რომ რომ ა.(ა)ი. პირების მიერ წარმოდგენილი გეგმა-პროგრამებში სწორად არის ასახული სახელფასო სარგოების მატება. წარმოდგენილ გეგმა-პროგრამებში არ ყოფილა ხარვეზები.

მცირე ხარვეზი იყო ა(ა)ი.პირის კულტურის გაერთიანების გეგმა-პროგრამაში და მიეცა ხელმძღვანელს შენიშვნა რიგგარეშე სხდომისთვის წარმოასდგინოს სწორი ფორმით.

კომისიამ გადაწყვიტა: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი. პირების 2025 წლის გეგმა-პროგრამები მომზადებულია სრულყოფილად და გათვალისწინებული იქნას რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა დასრულდა 15 საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: /ლ. გუზავა/